



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1918
29/11/2018

ქალაქი ბათუმი

1918-05-4-201811291514



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტების ხელშეწყობის მიზნით ერთჯერადი ჯილდოს გაცემის შესახებ

„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების და კულტურის სამსახურის მიერ 2018 წლის კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტული, სტუდენტური და ახალგაზრდული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №79 განკარგულების დანართი №4-ით დამტკიცებულია „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამა“, რომელიც გაიცემა 2017 - 2018 წწ მეორე სემესტრში მიღებული 91 და მეტი (A კატეგორიის) ქულების შესაბამისად საქართველოს აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში არსებულ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სტუდენტებზე. პროგრამის ფარგლებში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში დაგვიანებით შემოსული იქნა 4 სტუდენტის განცხადება (თ.ფალავა №12900/05; მ.ბოლქვაძე №14083/05; ი.დუმბაძე №14191/05; მ.ინაიშვილი №14166/05 , რომლებიც აკმაყოფილებენ დადგენილ კრიტერიუმს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ე.ე. ქვეპუნქტის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა ხელშეწყობის მიზნით ერთჯერადი ჯილდოს სახით ჩაერიცხოს თითო სტუდენტს 500.00 (ხუთასი) ლარი ცხრილი №1-ის შესაბამისად, სულ 2000 (ორიათასი) ლარი.
2. დაევალოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს უზრუნველყოს გამოყოფილი მიზნობრივი თანხების დაფინანსება.
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს განათლების და კულტურის სამსახურს.
4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი დაინტერესებული პირის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ვარდმანიძე ჯუმბერ

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

